№ 249 ნოემბერი 28, შაბათი — 1887 — ნოემბერი 28, შაბათი № 249

# ივერია


გაზეთის ფასი

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბაზუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდეკელის სავაჭროს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი



დაიბეჭდა ისტორიული პოემა
**თამარიანი**
გალექსილი თ. რ. ერისთავის მიერ
ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ფასი 60 კაპ. (10—1)


ტფილისი, 27 ნოემბერი

ამას წინად გვაცნობეს, რომ ბაქოში ფულიანმა კაცებმა შეადგინეს ამხანაგობა და იკისრეს ცხენ-მავალის ლიანდაგების გაყვანა ბაქოშიო. ეს ამბავი სრულებით შემთხვევით მოხდა. ბაქოს საქალაქო თვით-მმართველობამ ჯერ უცხოელ კაცს მიანდო იჯარით ცხენ-მავალის გამართვა. იჯარადარიც შეუდგა საქმეს, მოზიდა მასალა, დააყენა ხალხი სამუშაოდ, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ, სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, იჯარის აღსრულება შეუძლებელი იყო მისთვის. თავისი ულონოება გამოუცხადა ქალაქსა, რომელმაც მაშინათვე მიჰმართა სხვებსა, რომ დაწყებული საქმე არ შერჩერებულიყო. სხვათა შორის ბაქოს განზრახვა ჰქონდა მიენდო ცხენ-მავალის გაყვანა ბელგიის აგრეთ წოდებულ უსახელო კომპანიისათვის, რომელმაც ტფილისს გაუმართა ყველასაგან ცნობილი, უწესურობით განთქმული ცხენ-მავალა.

სწორედ ამ მდგომარეობაში იყო საქმე, როდესაც, თითო-ოროლა ჭკვიან კაცის მეთაურობით, თვით ბაქოშივე შესდგა ფულიან კაცთა ამხანაგობა, რომელმაც თავს იდო ცხენ-მავალის იჯარის აღსრულება ადრინდელ პირობისამებრ.

ჩვენ ეს ამბავი აღვნიშნეთ დიდის სიამოვნებით და მაშინვე გამოვთქვით ჩვენი აზრი, რომ სანატრელი იქმნებოდა, ჩვენს ქალაქშიაც მკვიდრთა შორის გამოჩენილიყვნენ ფულიანი კაცები და ეკისრნათ ახალის ლიანდაგების გაყვანა ტფილისის დანარჩენ ადგილებში, სადაც-კი ეს მოსახერხებელი იქმნებოდა. ჩვენ ადგილებიც დავასახელეთ—ავლაბარი და კუკია.

დღეს გვინდა კიდევ შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება ამ საგანზედ. არ ვილაპარაკებთ იმაზედ, თუ რამდენად საჭირო და სარფიანი იქმნება ცხენ-მავალის გამართვა ავლაბარში, რადგან ეს ყველასათვის უთქმელადაც ცხადია.

გავსინჯოთ, როგორ ემსახურება კუკიის ცხენ-მავალა თავის დანიშნულებასა და როგორ აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას. ვარანცოვის ძეგლიდამ ლიანდაგი მიდის მუშტაიდის ბაღამდე, შემდეგ შეუხვევს ვოგზლისაკენ. არაფერი არა გვეთქმის-რა ლიანდაგზე თვით მუშტაიდამდე, გარდა იმისა, რომ ყოვლად საჭირო და სახერხოა იგი ტფილელთათვის. ხოლო ლიანდაგი, რომელიც შეუხვევს ვოგზლისაკენ, მეათედადაც ვერ ასრულებს თავის პირდაპირ დანიშნულებას: მიიყვანოს ამიერ-კავკასიის რკინის გზასთან და წამოიყვანოს იქიდამ მგზავრი ტფილისის სხვა-და-სხვა ადგილებში. ამ ლიანდაგის წყალობით [?] ბევრი მიდის და ქირაც მეტი იხარჯება, ვიდრე მოხდებოდა იმ შემთხვევაში, უკეთუ სხვაფრივ იქნებოდა გამართული მისვლა-მოსვლა ვოგზალთანა. თქვენ გინდათ ვარანცოვის ძეგლიდამ გახვიდეთ ვოგზალზე. ცხენ-მავალით მოგინდებათ არა ნაკლებ 45 წამისა, იმიტომ-რომ ჯერ უნდა გაიაროთ გრძელი ქუჩა მიხეილისა, შემდეგ გადასჯდეთ ვოგზლის ლიანდაგის ვაგონში და იკლი-ბაკლო სიარულის შემდეგ-და მიხვიდეთ დანიშნულებისამებრ. მაშინ-როდესაც ნელის სიარულით ქვეითად შეგიძლიანთ იმავე ძეგლიდამ ახვიდეთ ვოგზალზე სულ ნახევარ საათში—დაადგებით მოკლე და პირდაპირ ქუჩას ავჭალისასა. ცხენ-მავალაში უნდა მისცეთ 8 კაპეიკი. შეუძლებელი და ხელ-მოჭერილი კაცი არჩევს ფულის გაუღებლობას ცალკე და ცალკე დროებასაც—ისევ ქვევითი ავა ვოგზალზე. თვით კუკიის მცხოვრებნი ხომ სრულებით ვერ გამოიყენებენ ცხენ-მავალას ვოგზალზე ასასვლელად, გარდა მიხეილის ქუჩის მცხოვრებთა. ამის გამო თვითონ ცხენ-მავალის პატრონებს ერთი ათად მაინც აკლდებათ მგზავრი, რადგან მათი მგზავრი უფრო შეუძლებელი ხალხია, და რკინის-გზით მოსიარულენიც, გარეშე მცირე ნაწილისა, ძალა-უნებურად ან ქვევითი დაიარებიან, ან ეტლში სხდებიან.

სრულებით სხვა სანახავსა ვნახავდით, თუ რომ ცხენ-მავალის ლიანდაგს გაიყვანდნენ ავჭალის ქუჩაზე. მაშინ 45 წამის გზას ხალხი გაივლიდა სულ 15 წამში და ფასიც ისევე იქნებოდა, რაც ვოგზლიდამ მუშტაიდამდე, ე. ი., 3 კაპეიკი. ამ შემთხვევაში მგზავრი მოიგებდა ნახევარ საათს დროსა და თითო გზობაზე თითო შაურიც ჯიბეში დარჩებოდა. თან არც 3 კაპეიკს შეუშინდებოდა ისე, როგორც ეხლა 8 კაპეიკისა ეშინიან, და ეს კუკიის ხალხი ხომ თითქმის ერთობ გამოიყენებდა ამ ლიანდაგსა არა მარტო რკინის გზის მატარებელზე სასიარულოდ, არამედ თვით ქალაქში მისვლა-მოსვლისათვის.

უეჭველია, ამ გარემოებას შეიგნებს ბელგიის უსახელო საზოგადოება და ადრე თუ მალე შეეჭიდება ავჭალის ქუჩაზე ცხენ-მავალის გამართვასა, და ამიტომაც დიდად სასიამოვნო იქმნება, რომ თვით ტფილისის მკვიდრთა შორის შესდგეს ადგილობრივი, და თუ შეიძლება სახელიანი, ამხანაგობა, რომელმაც, ბაქოს ამხანაგობის მიხედვით, გაიყვანოს ცხენ-მავალის ლიანდაგები ავჭალის ქუჩაზედაც და ავლაბარშიაცა. სხვა არა იყოს-რა, სცდიან მაინც არის ჩვენი ფულიანი კაცები ევროპიულ წესს ფულის ტრიალისას. სულ რომ არშინი და სასწორი ეჭიროთ ხელში, ეგეც არ ვარგა. კარგი იქნებოდა, ახლა სხვა გზაც გაიკვეროს ჩვენში.

თ—ძე

## ახალი ამბავი

*** ამ ხუთი-ექვსის დღის წინად თავად-აზნაურთა ბანკის გამგეობამ აცნობა მთავრობას, რომ ბანკის მიერ ახლად აშენებული თეატრი უკვე მზად არის და სიმკვიდრე და სიმტკიცე შენობისა და აგრეთვე ყოველ განსაცდელისაგან უშიშროება შეამოწმეთ და ნება მოგვეცით წარმოდგენანი დაწყებულ იქმნასო. მთავრობამ მეორეს დღესვე გამოგზავნა მთელი კამისია არხიტექტორებისა და ინჟინერებისა და აი გუშინ ოთხი დღე შესრულდა, რაც ეს კამისია დაიარებოდა თეატრში და ყოველს ფერს დაწვრილებით და გულ-დასმით სინჯავდა. გასინჯეს კედლები, სცენის მოწყობილობა, ხალხის დასასხდომი ადგილები. ეგრედ წოდებულ „რაიოკში“ პირველს დღეს არეკეს ორასი კაცი, რომ სიმკვიდრე გაესინჯათ. ეს არ აკმარეს და მოითხოვეს, რომ უფრო მეტის გამოცდისათვის რკინის სიმძიმე დაეწყოთ იმ დრომდე, ვიდრე კომისია საჭიროდ დაინახავდა. გამგეობამ კამისიის შეკვეთით მოატანინა რკინის გზიდამ 600 ფუთზედ მეტი რკინა და აზიდვინა „რაიოკში“. სადაც „რაიოკს“ სულ 150 ფუთზე მეტი სიმძიმე არ მოუვიდოდა ხალხის სხდომისაგან, იმ ადგილას კამისიამ 600 ფუთზედ მეტი რკინა დააწყო და ერთი დღე და ღამე რკინა არ აალებინა. ამის შემდეგ კამისიამა სცნო, რომ თეატრი ყოვლის განსაცდელისაგან უშიშარია და ნება მისცა გამგეობას

## ფელეტონი

### ამბავი ერთის მოხუცისა,

**რომელსაც სახელად გლახა ერქო და გლახაკობით ჰცხოვრებდა.**

(ვუძღვნი პატივსანს და ჩემს გულითად მეგობარს პ. უმიკაშვილს)

ძველ დროს ერთს საფრანგეთის ქალაქს ერთს წვიმიანს საღამოს შემოვიდნენ ორნი მოხუცნი. ერთის სახელი იყო პეტრე, მეორისა პავლე. ქალაქი თუმცა კარგად მოზდილი იყო და შენობათა ეტყობოდა მცხოვრებთა სიმდიდრე, მაინც მოხუცნი მეტად დაბრკოლებულიყვნენ საფარის უქონლობით, რადგანაც ნაცნობი არავინა ჰყვანდათ და ფულიც არა ებადათ-რა. ჭოჭმანის შემდეგ, დააპირეს ახლო მდგომ სახლის კარების დარაკუნება და საფარის თხოვნა, მაგრამ არ იცოდნენ სახლის პატრონის არც ვინაობა, არც სახელი.

ამის შესატყობლად მიჰმართეს ერთს დედაკაცს, რომელიც სახლის გვერდზედ ჩამავალ ხევში სარეცხსა ჰრეცხდა. მისალმების შემდეგ, ჰკითხეს ვინაობა და სახელი სახლის პატრონისა. მოსარეცხემ შეამცნია განზრახვა მოხუცთა და უთხრა, რომ სახლის პატრონი ისეთი ძუნწი ვინმეაო, რომ ტყუილად გაირჯებით, ის თქვენ საფარს არ მოგცემთო. ამას ისიც დაუმატა, რომ აქაური მოქალაქენი, თუმცა მდიდარნი არიანო, მოწყალებისა და სტუმრის პატივისა არა გაეგებათ-რაო.

ამ სიტყვებმა ყარიბი მოხუცნი მეტად შეაძრწუნა, მაგრამ წვიმა სულ ჰმატულობდა და სხვა გზა არ იყო, ბედი სცადეს, მიჰმართეს სახლს და გულის ცახცახით ჩაარაკუნეს კარები. ეზოში ასტყდა საშინელი ძაღლების ყეფა, კარი გაიღო და მოსამსახურემ გამოიხედა. ყარიბებმა მოწიწებით გამოაცხადეს თავიანთი სურვილი და დიდის ვედრებით სთხოვეს შეეტყობინებინა თავის პატრონისათვის. მოსამსახურე უარზედ შესდგა და სთქვა, რომ თქვენისთანები ბევრნი დაიარებიანო, მაგრამ ჩვენ პატრონს მაგისი განკითხვის ჩვეულება არა აქვსო. მოხუცთა მიუგეს, რომ ჩვენთვის არც საჭმელია საჭირო, არც სასმელიო; მარტო საფარი მოგვეცით, რომ წვიმას მაინც მოვსხლტეთო. ხმაურობა გაიგო სახლის პატრონმა, რომელიც სამხრის ჭამას ემზადებოდა; მუაჯარზედ გამოვარდა და, რა საქმეს მიხვდა, ლანძღვით დასტუქსა ბიჭი და შემოსძახა, რომ ძაღლები მიუსიე, თუ ნებით არ უნდათ გაბრუნებაო.

დალონებული მოხუცნი იმ წვიმა-წუნწუხში კვალად შეუდგნენ ქუჩა-ქუჩა სიარულს. მოსარეცხე დედაკაცს სარეცხი გაეთავებინა და შინადკენ მიემგზავრებოდა. რა დაინახა დალონებულნი მოხუცნი, მეტად შეეწყალა და უთხრა, რომ მე თითონ სიხარულით მიგიწვევდით, მაგრამ ქვრივი ვარ, ჭორისა მეთაკილებაო. ამ ქალაქში ერთის ჩემის მეზობლის გარდა ღვთისნიერ ადამიანს ვერავის ვიცნობო, ისიც მოწყალებით, გლახაკობით ინარჩუნებს თავს, სახელადაც გლახა ჰქვიან და, თუ ინებებთ, იმასთან მიგიყვანთ, ის უეჭველად შეგიფარებთო.

მოხუცთ მეტად გაუხარდათ, ლოცვა და კურთხევა მიაგეს და გაჰყვნენ მოსარეცხეს, რომელიც ქალაქის ნაპირას იდგა. მიიყვანა მოხუცნი ერთს გვერდ-დახრილ ქოხ წინ და კარები დაარახუნა. შიგნიდან მიჰლერქებული ხმა გამოვიდა და, რა შეიგნო საქმე, მაშინვე კარი გააღო და მიიწვია ყარიბნი. ამ დროს დაღამებულიყო და ქოხში აღარა სჩანდა-რა. გლახამ ცეცხლი აბჟუტა და თქვენმა მტერმა ჰნახოს ის სანახავი, რაც მოხუცთ წინ წარმოუდგათ. სახლის პატრონი იყო გამხმარი მოხუცი, ძვლისა და ტყავის მეტი არა ესხა-რა: თითქო იმის პირში ერთს თთვეს არა საჭმელს არ გაევლოსო; ტანი ძონძებში ჰქონდა გახვეული; ქვეშ ეგო თივა და ზედ ჭილობი ეხურა. შეჭვარტლულ ქოხში პირ-მოტეხილ ხელადის მეტი სხვა ავეჯი არა იპოვებოდა-რა. გლახამ მოწიწებით მოსთხოვა ბოდიში სტუმრებს და წრფელად აღიარა, რომ თავის საგებელ და ჭილობის სახურავის გარდა ვერაფრით ვერ უმასპინძლებდა. მოხუცთ მეტად დაუმადლეს კეთილ-გულობა, ნუგეში სცეს და დაარწმუნეს გლახა, რომ საფარავის გარდა იმათ არა ეჭირებათ-რა.

ამ დროს გაიღო კარები, შემოვარდა მოსარეცხე და ხონჩით მოართო ერთი გამხმარი სათალი, ორი პური და ერთი ხელადა შინაური ღვინო. ეს ხონჩა ისეთის ალტაცებით მიიღეს მოხუცთა, თითქო ხელმწიფის სუფრა გაუშალესო. სტუმარნი ხონჩას მოუსხდნენ და რიგიანად შეექცნენ. მასპინძელს, თუმცა მთელი დღე არა ეჭამარა, გული ისევ სავსე ჰქონდა ნაღვლით, რომ ყელში ლუკმის ჩაშვებაც ვერ შესძლო. ნაღვლის მიზეზი ის იყო, რომ საბრალო გლახას ქოხს უკან ერთად-ერთი მსხლის ხე ედგა, რომელსაც მშვენიერი ჯიშის ნაყოფი მოჰქონდა და ეს იყო, თითქმის, მთელის ცხოვრების სარჩო გლახასი; პურს-კი დღი-დღიურ თხოვნით ჰშოულობდა და ესე ატარებდა თავის წყალ-წაღებულ ცხოვრებას.

სწორედ იმ დღეს, რა გლახა ჩვეულებისამებრ მოწყალების მოსაგროვებლად გამოვიდა, ვიღაც უწყალო მეზობელი შეჰპარვოდა მსხალს და მოწიფული ნაყოფნი სულ ერთიანად დაეკრიფა. რა გლახა შინ დაბრუნდა და თავის მკვებავ მსხალს შეჰხედა, თითქო, ელდა ეცაო!

რასაკვირველია, სხვას ამისთანა ზიანი, იქმნება, არაფრად მიელო, მაგრამ, როგორც იტყვიან—თავად არ იყო ძმარიო, ზედაც დაესხა წყალიო, სწორედ ესე მოუხდა საცოდავ გლახას, მეტადრე იმ დღეს, რომ გამხმარი პურის ლუკმა არავინ მიუშვირა და შინ დაბრუნდა მსხლის იმედით. დაიწყო მწარე ტირილი, ოხვრა და ვაება; ეცა აქედ და იქიდ, მაგრამ ყურის მგდებელი ვინ იქნებოდა. ეს ნაღველი აწვა გულზედ გლახას და მანამ მოხუცნი ვახშამს შეე-

წარმოდგენებისა. მხოლოდ შევნიშნა, რომ დამტკიცებულს გეგმაზედ ზოგიერთი რამ წამატებულია უკეთესობისათვის და ამასთანაც ურჩია გამგეობას, სცენის კედლები რადგანაც ძალიან მაღლებია, მეტის სიფრთხილისათვის გამირებით შეიკრას და გაიჭედოს კუთხეებში. ანტრეპრენიორს ბ-ნს ფორკატის იმედი აქვს, რომ პირველი წარმოდგენა 6-ს დეკემბერს იქმნება გამართული. ელექტრონიც ამ ორიოდე დღეში მოწყობილი იქმნება ჯერ ხანად მარტო თეატრის გასანათებლად.

*** გუშინ, 26-ს ნოემბერს, შესდგა სამეურნეო საზოგადოების კრება. კრებამ მოისმინა ბ-ნის გეევსკის მოხსენება სრულიად რუსეთის სამეურნეო გამოფენის შესახებ, რომელიც გამართული იყო ქ. ხარკოვში. გეევსკი სამეურნეო საზოგადოებას გაუგზავნია ხარკოვში, ვითარცა თავისი წარმომადგენელი და გამგებელი კავკასიელის განყოფილებისა. მოხსენებიდგანა სჩანს, რომ თითქმის კავკასიის ყველა ადგილებიდგან გაეგზავნათ გამოსაფენად ნიმუშები მეურნეობისა, ბაღოსნობისა, შინაურის მრეწველობისა და სხვანი, ასე რომ კავკასიელი განყოფილება საკმაოდ მდიდარი იყო. მცოდნე კაცთ ყურადღება მიუქცევიათ, მაგალითად, პურისა და ღვინოებისათვის და აგრეთვე ყველისათვის. ბ-ნს ვერეშჩაგინს გაუსინჯავს ცხვრის ყველი და უთქვამს, რომ კავკასიაში შესაძლებელია გაკეთდეს ისეთის მაღალის ხარისხის ყველი, რომელსაც აკეთებენ მხოლოდ საფრანგეთშიო. სამწუხაროდ, ზოგიერთა საგნების გასასინჯავად გამოფენაზე სრულიად არა ყოფილან ექსპერტები. ეს გარემოებაა იმის მიზეზი, რომ ზოგიერთი ნაწარმოები შეუნიშნავი დარჩა.

ბ-ნმა ხატისოვმა შენიშნა, რიგიანი ექსპერტიზა იმდენად საჭირო საქმეა, რომ მართებლობამ ყურადღება უნდა მიაქციოსო. საჭიროაო, რომ თვით სამინისტროებმა დანიშნონ ექსპერტები, ისეთი კაცები, რომლებსაც შეეძლებათ რიგიანად დააფასონ სხვა-და-სხვა ნაწარმოებნი.

კრებამ მადლობა მოახსენა ბ-ნს გეევსკის.

*** „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ აპირობს ამ მოკლე ხანში კონცერტის გამართვას ტფილისის საბრანიაში.

*** 28 ნოემბერს კავკასიის შტაბის სამხედრო საბჭოს დარბაზში დანიშნულია გეოგრაფიულის საზოგადოების სხდომა. წაკითხულ იქმნება კულბერგის მოხსენება რუსეთისა და ავღანისტანის ახალის საზღვრისა და სასაზღვრო კომისიის მოქმედების თაობაზე.

*** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი შენიშვნა: შაშიანის მღვდელი ილია შიუკაშვილი მადლობას უძღვნის ივანე მაისურაძეს, რომელმაც შესწირა სკოლის სასარგებლოდ სამი მანეთი. შეგირდები მოუთმენლად ელიან მისგან აღთქმულ წიგნებს, რომლებსაც, იმედია, მალე მიიღებთო.

*** ღვინობისთთვის 12-ს სოფ. შაშიანში მოხდა შემდეგი უბედურება: ერთი შექეიფიანებული ვილაც დუქანში ათამაშებდა თოფს, „ნაპლეჩო, ნალეო, ნაპრაოს“ იძახდა, ხანაც წინ გაიშვერდა. უცბად გაუვარდა თოფი, მოხვდა იქ მდგომარე სოფლის გზირსა და მოჰკლა.

*** ვლადიკავკაზი: ჯარის-კაცთა გამოწვევა უკვე გაათავეს ამ ნოემბერში მინდვრის და მთის ოსებში, საიდამაც გაიყვანეს სულ 99 კაცი. რომლებიც ცხენოსან ჯარში ჩაირიცხებიან, ამათ ხაზინა მისცემს ცხენს, უნაგირს, რევოლვერს და სხვათა, მხოლოდ თითო ხელი წყლის ფერი ჩოხა, ხმლები და ხანჯლები თავიანთი უნდა ჰქონდეთ. ახლად გამოწვეულ ოსებს ჯერ-ჯერობით გაგზავნიან ყაზახის სტანიცა „არდონში“ გასაწრთვნელად. კენჭის ამოღების დროს ზოგი ყმაწვილი ოსები ქუდ-მოხდილი მიდიოდნენ და ღმერთს ევედრებოდნენ: ღმერთო, ჩემი კენჭი ამოვიდესო.

მინდვრის და მთის ოსები ყველა სოფელზედ სამ-სამ თუმანს აგროვებენ, იმისთვის რომ სამღთო გადუხადონ ახლად გამოყვანილ ჯარის-კაცებს.

*** „Новое Обозрѣніе“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდამ, რომ საბოლოოდ დაუდგენიათ შემოღებულ იქმნას პირველ იანვრიდგან კანტროლი ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე. როგორც ამბობენ, სახელმწიფო კანტროლის წარმომადგენლად ამიერ-კავკასიაში იქნება ბ-ნი ქელიაბუჟსკი.

*** გაზეთს „Новое Время“-ს სწერენ ტფილისიდამ, რომ აქ ადგილობრივ ვაჭრებს განზრახვა აქვთ შეადგინონ ამხანაგობა, რომელსაც საგნად ექმნება რიგიანად გაჰმართოს ამიერ-კავკასიიდამ ხილეულობის გზავნა რუსეთში. ამ ამხანაგობას ძირის თანხად უნდა ჰქონდეს ასი ათასი მანეთი, რომელიც შესდგება წილის ფულიდგან. თითო წილის ფული 50 მანეთია. ამ ჟამად შეუდგენიათ პროექტი იმის თაობაზე, რომ გამართულ იქმნას საწყობი მოსკოვსა და პეტერბურგში, ყაზანსა და სხვა ქალაქებში, სადაც უნდა გაგზავნონ კავკასიიდამ ხილი.

*** „Кавказъ“-ი გვატყობინებს, რომ ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების კრებულმა შეამოწმა რა ექიმების თანდასწრებით კნეინა ევგენია ჯორჯაძისა, რომელიც აპირებდა თავ. ნ. ჩოლაყაშვილის მოკვლასა, სცნო, რომ კნეინა ჯორჯაძისა მოქმედებდა გონება-გაშმაგებული და ამიტომაც საქმე კნ. ჯორჯაძის წინაამდეგ კიდევაც მოსპო. შემდეგ, პროკურორის პროტესტის გამო, საქმე გადავიდა სამოსამართლო პალატაში, რომელმაც შესცვალა ოლქის სასამართლოს დადგენება და გადასწყვიტა, რომ კნ. ჯორჯაძისა მიეცეს სასამართლოს, ვითარცა მომქმედი იმ დროს, როცა გაცხარებული იყოო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ლეჩხუმი, 7 ნოემბერს.** დადგა თუ არა ნოემბერი, ლეჩხუმის სამხედრო კომისია შეუდგა თავის მოქმედებას. პირველის რიცხვიდამ მოიწვიეს ლეჩხუმიდამ ყველა ისინი, ვინც ითვლებიან ოცის წლისანებად, დაიწყეს შესწორება სიებისა და მიღება თხოვნებისა. კომისიაში ისევ ისინი იყვნენ, ექსპერტების გარდა, რომელნიც წინა წერილში დავასახელე, ექსპერტები-კი სხვანი არიან ამ ჟამად: ბ-ნი ევგენი ივანეს ძე ჩერეპინი სამხედრო ნაწილისა და თეოდორე ნიკოლოზის ძე ჩუდეცკი სამოქალაქო ნაწილისა. ამ თვეს დაიწყეს კენჭის ყრა ლეჩხუმის, ზუბის, ოყურეშის, ნაკურალეშის, დეხვირის, ლენტეხის, ჩოლურის და ლაშხეთის საზოგადოებაში. კენჭი შეხვდა 34-ს კაცს. მეორე დღეს ცაგერის ეკკლესიაში გარდაიხადეს პარაკლისი, პარაკლისს დაესწრნენ კენჭ-შეხვედრილები და მათთან მთელი იქ შეკრებული საზოგადოება. ახალ ჯარის-კაცნი დაიფიცეს ხელმწიფე იმპერატორის ერთგულებაზედ და თავ-განწირვით სამსახურზედ. ეკკლესიიდამ გამოსვლის დროს მაზრის უფროსმა, ბ-ნმა ალშიბაიამ, უთხრა ჯარის-კაცებს შემდეგი სიტყვა: „უდრეს სხვათა მეზობელთა თვისთა სამეგრელოს ერმა დაინახა საჭიროება შესულიყო მფარველობასა ქვეშე დიდის რუსეთის იმპერატორისა. ეს სურვილით მან განახორციელა 1803 წ. მას შემდეგ, რაცკი ომი მოხდა კავკასიის ზოგიერთ ურჩ ტომთა დასამორჩილებლად, იმ ომებში სამეგრელომ არა მცირედი მონაწილეობა მიიღო. იმ დროდამ დაწყებული სამეგრელო არა ერთ გზის გამოიჩინა მხნეობა რუსეთის მტერთა საწინააღმდეგოდ; არა ერთმა და ორმა ძემ სამეგრელოსამ გასწირა თავისი თავი ბრძოლის დროს. ამ სახით, არა ერთხელ და ორჯელ დაამტკიცა სამეგრელომ თავისი ერთგულობა და უქვეშევრდომესობა. ლეჩხუმის მაზრა სამეგრელოს ერთი ნაწილია და თქვენც წილად გხვდათ დღეს უკლად მოწყალის ხელმწიფის ბრძანებით ჯარში სამსახური და ბრძოლა თქვენის ქვეყნის და რუსეთის მტერთა პირისპირ. თქვენ მიიღეთ დღევანდელს დღეს ფიცი დიდი, რომლითაც აღთქვით წინაშე ღვთისა, რომ იქნებით უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ერთგული ტახტისა მისის უდიდებულესობისა. სრული იმედი მაქვს, რომ გაამართლებთ დიდებულის ხელმწიფის და ჩვენის ერის მოლოდინსა და, იმედია, წაბაძავთ სახელოვანთა წინაპართა თქვენთა ტახტისა და სახელმწიფოს ერთგულებისათვის თავ-განწირულს მოღვაწეობაში. გილოცავთ დღევანდელს დღეს, საყვარელნო შვილნო ჩემნო, ღმერთი იყოს თქვენი შემწე და მფარველი.

შემდეგ მაზრის უფროსმა მიჰმართა ახალ-ჯარის კაცთა მშობლებსა და ნათესავებს: მოგმართავთ თქვენ, მშობელნო და ნათესავნო ამ ახლად გაწვეულის ჯარის-კაცებისანო, ილოცეთ მათთვის, რომ ღირსეულად შეასრულონ ის მაღალი ვალდებულება და არ გაუტეხონ სახელი ჩვენს ქვეყანას და დღევანდელი ფიცი ერთგულებისა მტკიცედ დაიცვან. სხვაზედ ნურას იწუხებთ მათთვის; ყოვლის მხრით უკეთესს მდგომარეობაში იქნებიან, ვიდრე იყვნენ აქამდე. მარტო სამს წელიწადს დაჰყოფენ სამსახურში და შემდეგ ისევ დაგიბრუნდებიან ნასწავლნი. ესენი იქნებიან არა შორს სადმე, არამედ თვით ჩვენს ქვეყანაში, სადაც თქვენ ყოველთვის შეგეძლებათ ინახულოთ თქვენი შვილი, ძმა და ნათესავი. გარდა ამისა ხელმწიფე იმპერატორმა მოგანიჭათ ერთი უხვი წყალობაც: ვისის ოჯახიდამაც ამ ჟამად გადის სამსახურში ოჯახისშვილი, სამის წლის განმავლობაში, ვინმე არ მობრუნ-

---

ქცეოდნენ, გლახა სულ ამის ჩივილში და მდურვაში იყო და მოხუცნი ცოდვით აავსო.

მგზავრებმა ყველა საშუალება იხმარეს გლახის დასამშვიდობებლად, სცეს ნუგეში და აღუთქვეს ლოცვა, რომ უფალმა მოიღოს თავისი მფარველობა იმაზედ. გლახამ მეტად დაუმადლა და უთხრა, რომ მე თუმცა ყოველ დღე ვლოცულობ და ვევედრები უფალს, რომ გამომიყვანოს ამ საშინელ შევიწროებიდგან, სიგლახაკიდგან, მაგრამ, კურთხეულ იყოს სახელი მისიო, ჰჩანს ერთი რამ ცოდვა მიმიძღვის იმის წინ, რომ აქამდისინ ჩემ ვედრებას ყურადღება ვერ მიაქციაო. სტუმართ მიუგეს, რომ ხან და ხან უფალი თავის მოსავთ განძრახ შეიყვანს განსაცდელშიაო და სასოწარკვეთილებას თავის დღეში არ უნდა მიეცეს ჭეშმარიტების გზაზედ მდგომიო.

ძილის წინ პავლემ წასჩურჩურა პეტრეს, რომ ჩვენ მასპინძელს, თუმცა ღარიბს, პატიოსნების და კეთილგულობის ნიშანი აქვსო და მოდი იმისათვის ვილოცოთო. პეტრე დასთანხმდა და ევედრნენ უფალს, რომ გლახას აუსრულოს სურვილი და თხოვნა. დილით ადრე, გაყრის წინ, ყარიბებმა ჰკითხეს გლახას, თუ რა მოწყალებას ისურვებს ღვთისაგან, რომ მიეცეს.

— დალოცვილებოვო, უპასუხა გლახამ: თუ ჩემი ვედრება შესაწყნარებელი იქნება, ამ გაბრაზებულ გულს სხვა რა სურვილი და ნდომა ექნება ამის მეტიო: ვინც ჩემ მსხლის ხეზედ ავა, ზედ გეეკრას და ვერ ჩამოვიდეს, მანამ მე არ მოვინდომოვო.

— შენ შეგეძლო გეთხოვნა უფრო მეტი, რიგიანი და მშვიდი, აგისრულდებოდაო, მიუგო პეტრემ, მაგრამ იყოს ნება შენიო.

— მთელს ქვეყნის დიდებას ეგ მირჩევნიაო, უპასუხა გლახამ და განაგრძო:—დალოცვილებო, იმაზედ მეტი ბედნიერება რაღა იქნება ჩემთვის, რომ ის წუწკი და ულეთო ქურდი, რომელიც იპარავს ჩემ მსხლებს, ჩემის თვალით ვნახო გუდასავით ჩამოკიდებული ჩემს ხეზედ! მეხვეწებოდეს და მევედრებოდეს და ჩემს გარდა სახსარი არა ჰქონდეს-რა! მეტი რაღა ვისურვო.

სტუმრებმა მადლი მისცეს მასპინძლობისათვის, მოსარეცხესაც გამოესალმნენ, დაადგნენ გზას და უთხრეს გლახას:

— გლახავ, გვაქვს დიდი იმედი, რომ ჩვენი ვედრება შეიწყნარა უფალმა და აგისრულდება გულის წადილი! დღევანდლიდგანა გულ-დადებით შეგიძლიან წახვიდე, სადა გინდა; შენ მსხალს ხელს ვე' ვინ ველარ ახლებს და თუ გამოტყუვდება ისეთი შეუპოვარი ვინმე და ავა შენ მსხალზედ, დარწმუნებული იყავ, რომ ზედ დარჩება, ველარ ჩამოვა, თუ შენ არ მოიწადინებ.

გლახამ დალონებულ სახეზედ ღიმილი გამოიხატა, მადლი მისცა მიმავალთ და გულში-კი გაიფიქრა, რომ ჩემ უმეცრებას დასცინიანო, რომ ისეთი გაუგებარისა და შეუძლებელის წადილის ასრულება მივმართე უფალსაო.

ხოლოდ, მგზავრების წასვლის ცოტა ხნის შემდეგ, ისეთი გასაოცარი საქმე მოხდა, რომ გლახას იჭვნეულობა სულ გაუქარვა. გლახამ აიღო ხელადა და ჩვეულებრივ წყლის მოსატანად წავიდა. ამ დროს მსხლის ქურდი მოვარდა, აცოცდა ხეზედ და, რა ჯიბეები გაიტენა მსხლით, ჩამოსვლა მოინდომა, მაგრამ, თავის საუბედუროდ, ხეს ისე მიჰკროდა, რომ ვერაფრით ვერ მოსხლიტა ვერც ფეხი და ვერც ტანი. დაიწყო ფართხალი, მაგრამ რა ღონეს მოსწყდა, ჩამოეკიდა ტოტებს გუდასავით და მორთო ღრიალი. წყლიდან მომავალმა გლახამ ყური მოჰკრა ღრიალს, შეჰხედა მსხალს და დარჩა გასახტებული, თითქო, ენა მუცელში ჩაუვარდაო! მერე პირჯვარი გადიწერა, შეჰსთვალა უფალს მადლობა და შეიგნო, რომ წუხანდელი მოხუცნი, უბრალო მგზავრნი-კი არა, თვით წმინდა პეტრე და პავლე მოციქულნი ყოფილიყვნენ! მაშინ ჩვენი გახარებული გლახა დაუტრიალდა ქურდს, დაუწყო ტუქსვა და გინება:

— ჰაი შე ასეთო, ჰაი შე ისეთოვო! გეტყობა, ძმობილო, სხვის მსხლები ძალიან გყვარებია... აბა, ერთი აირჩიე მწიფეები! აბა, ეგ, შენ ცხვირს ახლო რო ჰკიდია! რაღას ელი; გაიშვირე ხელი, რაღა!... მაგრამ არა, აქ საშური არა გვაქვს-რა... დროება ჯერ ბევრია!... მოიცადე, ასეთი საქმე გიყო, რომ შენს მნახველსაც თავის დღეში არ დაავიწყდეს!... აქაო და გლახა დაერდომილია, ფეხ ქვეშ გავსრისო, მიწასთან გავასწოროვო, რაღა!... გლახამ ეს რა წაართო, ეს რა დაუშავა? განა ღმერთს სამართალი სრულებით დავიწყებია, ქვეყანა ავაზაკებისათვის მიუნდვია!... თუ ესე ფიქრობდი, ძმობილო, ჩქარა მიხვდები შენ სიბრიყვეს!... არა, ჩემო ბატონის-შვილო, ეხლა ჩვენი ჯერი მოსულა... ცოტა კიდევ მოიცადე, მანამ ხმელ ტოტებ და ფიჩხს შევკრებდე; ერთი ჰიაკოკოლა გაგიჩაღო და ისე შეგტუსო, შეგკომბლო, რომ ათის წლის ლორს დაემგზავსო!...

— შემიწყალე და მაპატიევე, პატივცემულო გლახავ! ჩამოჰბღავლა განწირულის ხმით ქურდმა: ეს ერთი მაპატიევე. დამიხსენ ამ წვალებისაგან და ენდე ღმერთსა, რომ თავის დღეში ფიქრადაც აღარ მომივა შენ მსხალზე აპარვა!

— ფიცი შენი მჯერა, მიუგო დაცინვით გლახამ: მეტად მჯერა, რომ ჩემ მსხალს ახლო აღარ გაუვლი შემდეგში, ხოლოდ მე მინდა ცხვირიდან ამოგადინო წასული პარვა, წასული ცოდვა! ერთი ათად გაზღვევინო.

— ჩემო კარგო, პატიოსანო გლახავ! ერთს ოცად გიზღავ, სულ ბაჯაღლო ოქროს დაგითვლი, ოღონდ-კი მომარჩინე ამ ჭირს!

— შენც შეგარცხვინოს, შენი ბაჯაღლო ოქროც! მე ვარ ღარიბი, შეუძლებელი, ფული მიჭირს, მაგრამ პატიოსნებას თავის დღეში ფულზედ არ გავცვლი! წყალმა წაიღოს ფული! მე მინდა ჯავრის ამოყრა, ავაზაკის დასჯა და არა ფული და ამოვიყრი კიდეც! შენ მანდ მსხალს შეექეც, ჩემო თვალის სინათლევ, მწიფეები ამოირჩიე; მე კი წავალ ფიჩხის მოსატანად და გიჩვენებ თამაშას!

ამ სიტყვების შემდეგ გლახა გაემგზავრა ფიჩხის მოსატანად. ქურდმა კვლავ დაიწყო ბორტყვა, გველსავით იკლაკნებოდა, მაგრამ თავი ვერაფრით ვერ დაახწია. ბოლოს მოჰყვა საშინელის ხმით ღრიალსა და ტირილს.

ღრიალზედ ორი კაცი მოვარდა; ეგონათ, ან ვისმეს არჩობენ, ან სცარცვენო. რა ქურდი ჰნახეს გლახის ხე-

დება სამუდამოდ ოჯახში, იმისი ოჯახი თავისუფალია ყოველისავე სახელმწიფო და საზოგადო გარდასახადისაგან. აი, ძმებო, ის დიდი მოწყალება დიდის ხელმწიფისა თქვენზედ მონიჭებული. მოვიწვევ ყველა თქვენგანს, რათა აღავლინოთ შეერთებული ლოცვა წინაშე ღვთისა განსადიდებლად ჩვენის თვით-მპყრობელის დიდებულის ხელმწიფისა.

იმ დღეს სადილი იყო გამართული ზემოხსენებულ საზოგადოებათაგან ჯვარში გაწვეულთა პატივის საცემლად. ამ სადილზედ იყვნენ მიწვეული მთელი კრება სამხედრო კომისიისა და აქაურნი ხელისუფალნი. სადილმა მეტად მხიარულად ჩაიარა. პირველად დალიეს სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორისა, იმპერატრიცასი და მემკვიდრე ცესარევიჩისა; თითოეულს სადღეგრძელოზედ მერის ცხადამ იცლებოდა ზარბაზანი და ისმოდა დაუშოლოვებელი ურას ძახილი. ხელმწიფის სახლობის შემდეგ დალიეს სადღეგრძელო მისი იმპერატორებით უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისა, როგორც ფელდცეიხმეისტრისა და მეფის კავკასიის საარტილერიო დივიზიისა. ამას შემდეგ კავკასიის მთავარ-მართებლისა, დონდუკოვ-კორსაკოვისა, სადღეგრძელო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისა და სხვათა.

საღამოს შვიდ საათზედ დასრულდა მეჯლიში. მეორე დღეს, 7-ს ამ თთვეს, ახალი ჯვარის-კაცნი გაისტუმრეს ქუთაისში. ათს ნოემბერს მოიწვევენ დანარჩენ საზოგადოებათა უმაწვილ-კაცების კენჭის საყრელად.

ქაიხოსრო გელოვანი

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

ბ-ნ რ. ჩიკვაიძეს (ალისუბნელს) განუზრახავს შეუდგეს ერთის ჩვენის ძველ მოღვაწის ცხოვრების გამოკვლევასა. სახელი ამ მოღვაწისა ისტორიას თითქმის დავიწყებია, მაგრამ ხალხის ხსოვნაში მტკიცედ შენახულა (ზემო და შუა იმერეთს). ეს კაცი გახლავთ დავით გრიგოლის ძე ჩხეიძე, ნიკოლოზ ბარათაშვილის თანამედროვე. როგორც მცოდნე კაცები ამბობენ, ის მასალა, რომელიც ჯერ-ჯერობით მოუგროვებია ჩიკვაიძეს, ცხადად ამტკიცებს ხსენებულის ჩხეიძის მაღალ ნიჭს და იმ დროის შესაბამად განათლებას. იმისი ლექსები, თუ საკმაოდ მოიკრიბა, მისცემენ მას ადგილს ჩვენთა საუკეთესო მწერალთა შორის: ენა თურმე სამაგალითო აქვს როგორც ლექსში, აგრეთვე პროზაში. შენახულა რამდენიმე მისი წერილი მეტეხის ციხიდამ და რუსეთიდამ. რუსულად ნაწერი წერილები ამტკიცებენ, რომ ეს ენა იმას ზედ-მიწევნით, თითქმის სამშობლო ენის ოდნადა სცოდნია. მაგრამ საუბედუროდ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო, რომელნიც მკითხველ საზოგადოებას თავის დროზე მოხსენდება, იმისი სახელი თითქმის დავიწყებული შეიქმნა საქართველოსათვის, გარდა იმერეთისა. როგორც გავიგონეთ ბ-ნ ჩიკვაიძესაგან, რამდენიმე ლექსი დაბეჭდილია ამ შესანიშნავის კაცისა, ხოლო ქვეშ სხვათა გვარები აწერია. ეს ლექსები საუკეთესონი არიან ჩვენს ლიტერატურაში, მაგრამ ესე ყოველი არ შეადგენს ჩემის ცნობის საგანს. ამ დღეებში ბ-ნი ჩიკვაიძე თხოვნას აძლევს ქუთაისის გუბერნატორს, რათა მიეცეს ნება არხივების გადაჩხრეკისა ამ საგნის გამოსაკვლევად. ვისურვებ, რომ ხელი მოემართოს. ვინ იცის, იქნება ჩვენს ლიტერატურას ამით იმან აჩუქოს ერთი ღირს-შესანიშნავი კაცი, რომლის სახელი არ უნდა მოკვდეს, არამედ უნდა გარდაეცეს შთამომავლობას სასიქადულოდ. დავით ჩხეიძის მონათესავენი დაჰპირებიან ბ-ნ ჩიკვაიძეს დახმარებას და, ვგონებთ, არც სხვებმა დაიშურონ შემდეგ ამ ცნობისა და მიაშველონ მას ყოველივე, რაიცა იციან ამ საგანზე, და ამით შეუმსუბუქონ ეს მძიმე და ძნელი ტვირთი. იგივე ბატონი ჩიკვაიძე ამზადებს გამოსაცემად მ. ფაზელის ნაწერებს ავტორის სურათით, ამ უკანასკნელის ნება-რთვით და რედაქტორობით. ესეც საკმაო შრომაა, ვინაიდგან ფაზელის ნაწერები ისე არიან მიმოფანტულნი, რომ იმათის თავის მოყრა საძნელოა, მაგრამ, ვიმედოვნებთ, ამაშიაც დაეხმარებით და ამით სამსახურს გაუწევთ არამც თუ გამომცემელს, არამედ საზოგადოებასაც.

ვასო აბაშიძე

ქუთაისი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ზოგიერთს ჩვენს მკითხველს, იქნება, არც-კი გაუგონია იაპონიის სახელი, ან, იქნება, სახელი გაუგონია და ფიქრად-კი არ მოსვლია, რომ ეს ქვეყანა ფრიად საინტერესო ქვეყანაა. თუმცა ციმბირის ახლოა და სულ რამდენიმე კუნძულია დიდს ოკეანეში გაფანტული, მაგრამ განათლებით, ყოველ გვარის წარმატებით, კეთილ-დღეობით და კულტურით ციმბირს-კი არა, ზოგიერთს დიდად განათლებულს ევროპის ქვეყნებსაც არ დაუვარდება. მცხოვრებთა რიცხვი ამ ჩინეთის მეზობელ ქვეყანაში 30 მილიონზე მეტია, უნივერსიტეტების რიცხვი თითქმის იმდენივეა, რამდენიც რუსეთში და გაზეთები ხომ ორჯელ და სამჯერ მეტია. მწერლობის წარმატება იაპონიაში ცხადად დაგვანახვებს, რა უმაღლესს ხარისხზე სდგას განათლება ამ აღმოსავლეთის განაპირა და კიდურის ქვეყნისა.

მკითხველი, უეჭველია, გაოცდებაო, — მოგვითხრობს გაზ. „С.-Пет. Вѣд.“-ი, როცა შეიტყობს, რომ იაპონიაში იბეჭდება ორასამდე გაზეთი და ჟურნალი. ამ გაზეთებ შორის 30 ფრიად დიდი გაზეთია. გაზეთის ბეჭდვა იაპონიაში ძალიან სახეირო საქმედ არის მიჩნეული. მწერლებსა და ლიტერატორებსაც დიდის პატივის ცემით ეკიდებიან თავიანთ ქვეყანაში. როგორც ევროპაში, იაპონიაშიაც თითოეულს გაზეთს თავისი განსაკუთრებული მიმართულება აქვს და თავის განსაკუთრებულს დედა-აზრებსა და პრინციპებს ემსახურება. ზოგიერთი, თუმცა რიცხვით ნაკლები, მომხრეა უცხოელებისა; მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ თითქმის ყველა გაზეთები იაპონიისა მტრულად იხსენიებენ გერმანელებს.

შემდეგ გაზეთი გვიამბობს უფრო დაწვრილებით იაპონიის გაზეთების ვითარებასა.

თორმეტიოდე გაზეთს იაპონიაში, ამბობს „С.-Пет. Вѣд.“-ი, ჰყავს 30-დამ 50 ათასამდე ხელის-მომწერი. უფრო ის გაზეთები უყვართ და მოსწონთ, რომელნიც სამინისტროს მოქმედებასა ჰკიცხავენ. ესევე გაზეთები მოსწონთ გაგიჟებით იაპონიის მოსწავლე ახალგაზდებს. უფრო დიდი მნიშვნელობა და გავლენა აქვს ერთს დიდს გაზეთს, რომელსაც სახელად ეწოდება „ჟიჟი შიმპო“ და რომლის რედაქტორადაც არის სახელოვანი და იაპონიის ახალ-თაობის საყვარელი პუბლიცისტი—ფუკუზავა. ამ გაზეთს სჯერა, რომ იაპონიის ბედნიერება საპარლამენტო წესების შემოღებასა და დამკვიდრებაშია და მხნედ იბრძვის, რომ ქრისტიანობა იქმნას გავრცელებული და ქალებს უფრო დიდი უფლებანი მიენიჭოს.

ასეთის ლიბერალურის აზრებისათვის სამინისტროს არ უყვარს ეს გაზეთი და მუდამ ჯიბრში უდგა, მაგრამ, რაც უფრო მეტად სდევნიან, მით უფრო დიდის თანაგრძნობით ეკიდება მკითხველი საზოგადოება.

მეორე გავლენიანი გაზეთი იაპონიაში,—განაგრძობს გაზეთი—არის „იუბი-ხახი“. ეს გაზეთი უფრო ჩინეთის მომხრეა და მოწადინებულია, რომ მისი სამშობლო ინგლისის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდეს. ამ გაზეთს დიდ-ძალი კორრესპონდენტები ჰყავს ევროპასა და ამერიკაში, უფრო ლონდონში, კალიფორნიაში და ნიუ-იორკში. ეს გაზეთიც დიდად პატივცემულია იაპონიაში.

ამათ გარდა არის კიდევ ერთი დიდი სავაჭრო გაზეთი „ჰუგვაიბუეგა“. ამ გაზეთს ჰბეჭდავს ერთი დიდი სავაჭრო საზოგადოება, რომელიც მილლიონებს ატრიალებს. მერე არის კიდევ გაზეთი „რეფორმა“ და „მოწოდება“. თითოეულს ამ გაზეთს ოც-ოც-და-ათი ათასი ხელის-მომწერი ჰყავს თურმე. ამ გაზეთების რედაქტორები აზნაურიშვილები არიან და გაზეთის ბეჭდვით მილლიონები შეუძენიათო.

წვრილ-წვრილი გაზეთები ასზე მეტია. წვრილი გაზეთები საიმისოდ ურადლებით არ იბეჭდება და შიგ ბევრი სასკანდალო ამბებია მუდამ აწერილი. ამ მხრივ უფრო შესანიშნავია „ლიბერალური ფარანი“, რომელსაც 75 ათასი ხელის-მომწერი ჰყავს და 300-ზე მეტი ნომერი იყიდება მუდამ დღე. ამ გაზეთს მთელი ჯარი ხალხი ჰყავს ახალ ამბების შესაკრებად. არც სკანდალი, არც ერთი ამბავი არ მოენახვება და არ დაემალება ამ გაზეთსა. „ფარანისა“ ძალიან ეშინიანთ ყველას და სამინისტროც-კი ძრიელ ერიდება, რომ ამ შხამიან და მოწამლულ ენის პატრონს არ ჩაუვარდეს პირში. მით უმეტესს უფრთხის სამინისტრო ამ გაზეთს, რომ რედაქციის მეთაურად არის იაპონიის მთავარ-სახელმწიფო პროკურორად ნამყოფი, კაცი ფრიად ნიჭიერი, რომელსაც დიდი ნაცნობობა ჰყავს დიდ-კაცობაში.

საოხუნჯო გაზეთებიც ბლომად ჰქონიათ იაპონელებს. უფრო უყვართ თურმე საოხუნჯო გაზეთი „მარუ-მარუ“.

აი ასეთი მწერლობა ჰქონია იაპონიას, ასეთი მწერლები ჰყოლია და ასეთს წარმატებამდე და განათლებამდე მიუღწევია ამ ცხრა მთას იქით გადაკარგულს ქვეყანას. ბევრს უნდა შეჰშურდეს ასეთი ბედი ამ ქვეყნისა არა თუ აზიაში, არამედ ევროპაშიაც; არა თუ მოსლემინთა შორის, არამედ ქრისტიანეთა შორისაც!

## წვრილი ამბები

— ინგლისში, როგორც სჩანს, ძალიან ბევრნი ყოფილან თურმე მედინამიტენი. ლივერპულში რამდენიმენი ყოფილან და გაქცეულან მაშინვე, გაუგიათ თუ არა, რომ კალდანი და გარკინსი დაპატიმრებულნი არიანო. ამ გაქცეულთ მედინამიტეთ გაქცევისას თავის ნივთები დაუტოვებიათ, რომლებშიაც ბევრი ამაფეთქებელი იარაღები ერია თურმე.

— აი როგორ ირჩევენ საფრანგეთში რესპუბლიკის პრეზიდენტს. საჭიროა, რომ უმეტესობა კონგრესისა, რომელიც შედგენილია ორის პალატისა—სენატისა და დეპუტატებისაგან, ამოსარჩევის მხრივ

---

ზედ აპარული და მტირალი, მეტად გაჰკვირდნენ და ჰკითხეს:

— მანდ რას აკეთებ, ან რასა სტირი, რატო არ ჩამოდიხარო?

მან მიუგო, რომ ეს წყეული გლახა, თურმე, ჯადოსანი ყოფილა და თავის ეშმაკობით ისე დამაბა ამ ხეზედ, რომ ვერ დავეხწევიეარო. მოსულთაგანმა მიუგო, რომ ტყვილ ცილსა სწამებ გლახასაო; გლახა, თუმცა ღარიბია, მთელი ქვეყანა იმას პატიოსან კაცად იცნობს და თუ იმას ჯადოსნობისა რამ შესძლებოდეს, მთხოვარობით თავს არ შეინახავდა, ამდენ წლიწადს იმ შეჭირვებაში არ დარჩებოდა, რომელშიაც ის არის, და სხვა ჯადოსნებსავით მოიწყობდა სახლ-კარსაო; იქნება შენ ქურდულად შემოპარულხარ და გლახა, როგორც ღვთისნიერი კაცი, ღვთის მფარველობის ქვეშ იმყოფება და ღვთის ძალით შენ ეგ დაგმართვიაო. რაც უნდა იყოს ქრისტიანული წესია, ყველა გაჭირებულს ხელი უნდა გაემართოს და ჩვენც შეგეწევითო.

ამის შემდეგ ორნივე აცვივდნენ ხეზედ, ერთი ერთ ტოტზედ, მეორე მეორეზედ და ყველა ღონის-ძიებით ეცადნენ ქურდის ახსნას, მაგრამ ამ კაცის ასოების აგლეჯა უფრო ადვილი იყო, ვირემც ხიდგან აყვანა. ბოლოს სთქვეს, რომ მართლად აქ ჯადოსნობა რამ უნდა იყოსო, ვერას გავაწყობთ, წავიდეთ მსაჯულს და მოურავს შევატყობინოთ, ისა ჰსჯობიაო.

ამ სიტყვების მერმედ უკან დააპირეს ხიდგან ჩამოსვლა, მაგრამ, წარმოიდგინეთ ამ საწყლების განცვიფრება, როდესაც დაატყეს თავს, რომ ისევე გაჰკროდნენ ხეს, როგორც ქურდი და ვერც ხელი და ვერც ფეხი ველარ გაენძრათ; შუადღემდინ ამ ყოფაში დარჩნენ სამნივე, მანამ მოვიდოდა გლახა ნათხოვარის პურის ნატეხებით და ერთ დიდ კონა ფიჩხით. რა გლახამ შეჰხედა ხეს და დაინახა ორიც სხვა კაცი, ნაცნობი მეზობლები, მეტად შეჰსძრწუნდა და შეჰსძახა:

— ოჰო, მეზობლებო! განა თქვენც ეწყობით მსხლის პარვასაო! დალოცვილებო, თუ მსხლის ნდომა გქონდათ, ქურდობით თავს რად იმურდლებდით, რატომ პირდაპირ არა მთხოვეთ, რა ძუნწი კაცი მე მნახეთ, რომ დამეზოგა? მათ უპასუხეს, რომ ჩვენ ქურდობისათვის არ მოვსულვართო, ჩვენ გამოგვიტაცა მეზობლობის კეთილ-გულობამა; კაცის ტირილი და ვაება გვესმა, გული შეგვიძრწუნდა, გამოვიქეცით, გვინდოდა ქრისტიანული შველა მიგვეცა; ჩვენ მსხალი რომ გვდომებოდა, შენ გარდა სხვა გზასაც ვიპოვნიდით, ან ყიდვით ვიყიდდითო.

— თუ თქვენ მართალს ამბობთ, მიუგო გლახამ, შეგიძლიანთ ჩამოხვიდეთ ხისაგან, რადგანაც ჩემი ჯავრი და მაგიერის გება მიხვდება ქურდებს და არა კეთილ კაცებს.

ამ სიტყვების თქმა იყო და მეზობლების ხელ-ფეხის ახსნა ხისაგან. რასაკვირველია, ამ კაცებმა მეტს აღარას უცადეს და მაშინვე ჩამოხტნენ განცვიფრებულნი და არ იცოდნენ, თუ რას მიაწერონ ესეთი საიდუმლო გლახაზედ ჩამოსული ძალა.

ჩამოსვლისასვე მეზობლებმა მოწიწებით მადლი მისცეს გლახას და ევედრნენ, რომ შეიწყალოს ის უბედური ქურდიც, რომელიც საშინელ განკიდურებაში და ტანჯვაში იყო დილიდგან მოკიდებული. გლახამ მიუგო:

— თქვენი საქმე სხვა არის და იმისი სხვა; იმისი საწყაული ჯერ არ ავსებულა. რამთენი წლიწადი ჩაშხამებული იყო ჩემთვის ამ ქურდისაგან! რამთენჯერ დავათვალიერებდი ჩემ მსხლებს, დავნიშნავდი სახვალიოდ მოსაკრებლად და ყოველთვის ეგ ურჯულო და წყეული მასწრობდა და გულს ჩამითუთქამდა! სისხლ-დაუღვრელად ჩემი გული ვერ მოისვენებს!

— ჩვენო თვალის სინათლე მეზობელო! ნუ მიგყავს საქმე მაგ განკიდურებამდინ, მოიგონე შენი სულგრძელოვნება, ღვთისნიერობა და ქრისტიანობა! მაგისთანა შეუწყალე, ბლობით უეცრად დაჰკარგავ იმ პატივს-რომელიც, რამდენი წლიწადია, გეძლევა მთელის ჩვენის უბნისაგან; დამშვიდდი, დასტოვე ეგ ჯავრიანობა, დაუგდე ყური შენ კეთილ გულს და ეც პატივი ჩვენ თხოვნა-ვედრებას! ვთქვათ, იმ უბედურს სულიც ამოჰხადო, შენ ხომ, ჩვენო საყვარელო გლახავ, ამითი არა მოგემატება-რა და ბოროტების მეტს აქედგან რას მოელი! შენ ხომ თვითონ კარგად იცი, რომ ბოროტის მოქმედება პირუტყვსაც შეუძლიან, მაგრამ კეთილი ქცევა კაცისა და პატიოსანის კაცის ნიშანია, უთხრეს მეზობლებმა.

ეს სიტყვები ძალიან გულში გაუჯდა გლახას, რომელიც ბუნებით კეთილი კაცი იყო; ფიჩხის მოგროვებაში კარგა ხანს გაეარნა; გლახას ცოტცოტად სიწყნარე და სიმშვიდე მოუბრუნდა; ქურდის ბიაბრუობამ და გინებამ გული მოუფხანა და ჯავრიც, თითქმის, სულ ერთიანად ამოაყრევინა. კაცის დაწვა ცეცხლით შეეცოდა, შეებრალა, მაგრამ მუქარების არ ასრულება სამარცხვინოდ მიაჩნდა. ეს ორჭობი მყოფობა მეტად აძრწუნებდა გლახას; თითონვე სახსარს ეძებდა ამ ყოფიდგან გამოსვლისას, მაგრამ ვერა მოაგვარა-რა. მეზობლების ტკბილი და ჩვილი სიტყვები გლახამ მისწრებად მიიღო და უპასუხა:

— ღმერთმა თქვენი თავი მცოცხლოს, ავ-კაცობა თქვენც გაშოროთ და მეც! თქვენ პატიოსან შუამავლობას უარს ვერ ვეტყვი; ვაპატიებ ამ ჩემ დამამხობელს იმ პირობით, რომ ქურდობისაგან ხელი აიღოს და ჩემს მსხალს ახლო აღარ გაუაროს!

ქურდმა პასუხი აღარ დააცალა და სიბრალულის ხმით ჩამოჰბღაველა:

— ოღონ ეხლა-კი დამიხსენ ამ საშინელის წვალებისაგან და თუ თავის დღეში ქურდობაზედ ვიფიქრო, შენ მსხალს ახლო გაუარო და მრუდე თვალით შევხედო, გასკდეს დედამიწა და თან ჩამიტანოს მეც და ჩემი სახლობაც!

— მაშ თუ ეგრეა, აეშვი მაგ ტოტებისაგან, მიპატიებია, უთხრა გლახამ.

ამ სიტყვების თქმა იყო და ქურდის ძირს ჩამოშვება; მაგრამ ეს საბრალო ისე მოსწყვეტოდა ჯანსა და ღონეს, რომ ფეხი ველარ გადაედგა; მეზობლებმა აწიეს და ისე წაიყვანეს შინ.

ი. ო.

(დასასრული იქნება)

იყოს. პრეზიდენტს შვიდის წლით ირჩევენ. კონსტიტუციაში არ არის დასახელებული, თუ რა ხნიერობის შემდეგ აღარ შეიძლება რომელისამე კანდიდატის პრეზიდენტად ამორჩევა. თუ პრეზიდენტი არ არის, ან გარდაიცვალა და ან უარი სთქვა პრეზიდენტობაზე, პალატები დაუყოვნებლივ უნდა შეიკრიბნენ პრეზიდენტის ამოსარჩევად. ვიდრე პრეზიდენტი არ არის, მინისტრთა საბჭომ უნდა იკისროს ყოველივე პრეზიდენტის საქმე. პრეზიდენტს დახურულის კენჭის-ყრით ირჩევენ. თუმცა ასეა, ხოლო ამორჩევის დროს იქ მყოფთ სენატორებისა და დეპუტატების სახელები ოფიციალურად გამოცხადებულია. გამოცხადებულია იმათი გვარებიც-კი, რომელნიც არჩევანში მონაწილეობას არ იღებენ.

— ჩიკაგოში დასჯილის ანარხისტის შპირის ცოლს, მისა ვან-ზანდტს, გადაუწყვეტია თავის მოკვლა შიმშილით. ამას წინად ეს ქალი ცხენით წასულა სასაფლაოზე, სადაც დასაფლავებულია შპირის გვამი, სამარე ამოუთხრევინებია და მართლაც დარწმუნებულა, რომ ჩემი ქმარი ნამდვილად გარდაცვლილაო. სახლში დაბრუნებულა და საჭმელზე უარი უთქვამს. თუმცა ნათესავები და ნაცნობები ანუგეშებენ და ეხვეწებიან, მაინც ყველაფერი ამაოა და პირში ნაწილს არ უშვებს თურმე მისა.

— ფრეისინეს სახელი ეხლანდელ საპრეზიდენტო კრიზისმა საფრანგეთში ძალიან წინ წასწია და ამიტომ უფრო საყურადღებოა გამბეტას აზრი ამ სახელმწიფო მოღვაწეზე. ერთხელ ფრეისინეს როგორღაც უთქვამს: „ეს გამბეტა მეტის-მეტად გამბედავია; იმას ვერ ვიტყვით, რომ ძალიან მამაცი იყოს, მაგრამ არაფრისა-კი არ ეშინიანო“. როცა გამბეტასათვის გარდაუციათ ეს ამბავი, გამბეტას უთქვამს: „ეს ფრეისინე მეტისმეტად ფრთხილია; იმას ვერ ვიტყვით, რომ ძალიან მშიშარა იყოს, მაგრამ ყველაფერს-კი სიფრთხილით ეკიდებაო“.

— საქონლის ჭირის მოსასპობად ლოტარენში გაუმართავთ განსაკუთრებული ქურები, სადაც ჭირიან ლეშსა სწვავენ, რათა სხვებსაც არ გადაედოსო.

— ახირებული საშუალება უხმარია ამერიკის გაზეთ „Constitution“-ის გამომცემელს ხელის-მომწერთა გასამრავლებლად და მისაზიდავად. ეს გაზეთი ქალაქ ატლანტაში გამოდის. ამას წინად ამ ქალაქში მისულა ამერიკის პრეზიდენტი. ამის გამო ატლანტაში იმდენი ხალხი შეკრებილა პრეზიდენტის სანახავად, რომ მთელი ქალაქი დაიჭირეს თურმე და არსად ადგილი არ იყო, რომ ხალხი დაბინავებულიყო. და აი „Constitution“-ის გამომცემელს გამოუცხადებია, რომ შეუძლიან ჩემის რედაქციის სადგომში დაბინავდეს, ვინც ჩემს გაზეთს ხელს მოაწერსო. ამის გამო გაზეთს 300 ხელის-მომწერი შემატებია.

## დეპეშა

26 ნოემბერი

ბერლინი. რუსეთის ელჩმა მიულოცა დღეს დღესასწაული გიორგის კავალერებისა იმპერატორს ვილჰელმს, როგორც უხუცესს კავალერს გიორგისას.

პარიჟი. მონარქიელები მტრულად უცქერიან სადი-კარნოს.

სოფია. კრებამ შეიწყნარა კანონპროექტი სათემო საბჭოთა თაობაზედ.

მიტროპოლიტი კლიმენტი წავიდა ტირნოვოს.

პეტერბურგის ბირჟა, 24 ნოემბერს.

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — › | — › | 9 |
| ტამოჟნის კუპონები | — › | — › | 179 3/4 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — › | — › | 1 32 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი | — › | — › | 278 |
| — მეორისა | — › | — › | 248 |
| გირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა | — › | — › | — › |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — › | — › | — › |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ნოემბერი 30 დღით არის

**28 დღე შაბათი.** წმ. მოწ. სტეფანესი, ვასილისა და სხვათა. კათოლ. სალამოს ღვთის-მსახურება წმ. ანდრია მოციქულისა. სომეხ. წმ. მოციქულ და პირველ განმანათლებელ სომეხთა თადეოსისა და ბართოლომესი. მუსულ. მე-26 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 7—16, ჩადის 4—30. მთვარე 26 დღისაა.

**29 დღე კვირა.** წმ. მოწ. პარამონისა, ფილუმენისა, ღირსისა აკაკისა და წმ. დიდის მოწამე აბიბო ეპისკოპოსისა. კათოლ. 1-ლი კვირა ადვენტისა. სომეხ. ქორწინების ნება ეძლევათ. მუსულ. მე-27 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—შაჰ-ნადირი გაემართა სალაშქროდ ინდოეთში. შაჰთან ბრძანდებოდნენ ბატონიშვილი ერეკლე და წარჩინებულნი ქართლისა და კახეთის თავადნი, 1738 წ.—გენერალი ინფანტერიისა გრ. მურავიოვი 1-ლი დაინიშნა კავკასიის მთავარ-მმართებლად, 1854 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 7—17, ჩადის 4—30. მთვარე 27 დღისაა.

**30 დღე ორშაბათი.** წმ. მოციქ. ანდრია პირველ-წოდებულისა, ფრუმენტი ეპის. კათოლ. წმ. მოციქ. ანდრიასი. სომეხ. წმ. ეპისკ. გენარიოსისა და მეომარის მერკურიოსისა. მუსულ. მე-28 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ბატონიშვილს საქართველოსას, ბაქარს ვახტანგის ძეს, პირდაპირ მიეცა ხარისხი ვენერალ-ლეიტანენტისა რუსეთის არტილერიის ჯარში, 1729 წ.—თ. ვარანცოვმა იშუამდგომლა, რომ პროგრამა გამოეცვალოს „Закавказскій Вѣстникъ“-ს, რომელიც ტფილისში იბეჭდებოდა, 1845 წ.—გამოცხადდა ბრძანება სენატისა 1884 წ., რომ ამიერ-კავკასიის ქალაქებში შემოღებულ იქმნას უმაღლესად დამტკიცებული საქალაქო დებულება.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—53. ტფილისში მზე ამოდის 7—17, ჩადის 4—31. მთვარე 28 დღისაა.


# ОТКРЫТА ПОДПИСКА
## НА 1888 ГОДЪ

на большую ежедневную политическую, общественную и литературную газету

# „РУССКІЙ КУРЬЕРЪ“.

(ГОДЪ ДЕВЯТЫЙ).

Годъ еще и десять лѣтъ минетъ, какъ издается „**РУССКІЙ КУРЬЕРЪ**“. Этотъ рядъ цѣлыхъ годовъ нашего изданія, пользовавшагося все это время добрымъ вниманіемъ и довѣріемъ со стороны русскаго общества и русскаго народа, добрый откликъ ему со всѣхъ сторонъ Россіи и изъ среды **славянскихъ народовъ**, поддерживаетъ нашу энергію и къ будущему служенію на пользу русскимъ и **славянскимъ интересамъ** и даетъ намъ право высказаться болѣе точно и опредѣленно о задачахъ нашихъ и намѣреніяхъ.

Мы не измѣняемъ и въ будущемъ своего знамени **добросовѣстно** мыслить на общую пользу, **твердо** слѣдовать тому-же принципу **правды**, которому слѣдовали и донинѣ. Чутко стоя на стражѣ общественныхъ интересовъ, мы внимательно, какъ и прежде, будемъ слѣдить за всѣмъ, что совершается **внутри и внѣ** дорогаго для насъ отечества, что такъ или иначе отражается на его историческихъ судьбахъ. Намъ дороги эти судьбы и потому мы не пропускаемъ ни одного изъ событій, вліяющихъ **положительно** или **отрицательно**, какъ на совершенствованіе русской жизни, такъ и на политическое положеніе Россіи—какъ великой державы, **достоинство, могущество и слава** которой составляютъ нашу національную гордость. Мысли наши и сердце наше, преисполненныя чувствомъ **истиннаго патріотизма**, всегда готовы со своимъ посильнымъ словомъ сослужить службу всему, что можетъ содѣйствовать **ко благу родины**, къ **преуспѣянію** и **величію русской земли и русскаго народа**.

Вотъ причина, въ силу которой мы съ одинаковымъ вниманіемъ и усердіемъ относимся ко всѣмъ вопросамъ государственной и общественной жизни, поочередно трактуя о дѣлахъ и вопросахъ **политическихъ, административныхъ, законодательныхъ, судебныхъ, городскихъ, земскихъ, финансовыхъ, экономическихъ, торговыхъ, промышленныхъ**, о вопросахъ **народнаго образованія, народнаго здравія** и вообще о всѣхъ социальныхъ и политическихъ явленіяхъ, имѣющихъ **прямое или косвенное** отношеніе къ жизни и къ быту русскаго человѣка.

Историческіе русскіе завѣты и чувство единства нашего національнаго духа съ единоплеменными и единокровными намъ **народами славянскими** заставляютъ насъ зорко слѣдить за судьбами **славянства** и содѣйствовать, по мѣрѣ силъ нашихъ, всему, что можетъ сплотить **славянство** въ одно цѣлое съ нами...

Смерть славныхъ московскихъ публицистовъ **заставила насъ особенно ревниво встать при исполненіи своихъ обязанностей и постараться употребить наши силы къ тому, чтобы послѣдовать, насколько то будетъ возможно, тѣмъ сторонамъ ихъ дѣятельности, которымъ мы сочувствовали при ихъ жизни и которыя остались и понынѣ для насъ симпатичными.**

Въ разработкѣ „**Славянскаго вопроса**“ намъ обѣщалъ свое сотрудничество извѣстный славистъ **О. Ѳ. Миллеръ**, профессоръ с.-петербургскаго университета, членъ **с.-петербургскаго славянскаго благотворительнаго общества**.

Въ разработкѣ **славянскаго вопроса** участвуетъ у насъ также извѣстный ученый славистъ **Н. П. Аксаковъ**, со статьями котораго читатели уже знакомы.

Для той-же цѣли установлены нами тѣсныя сношенія со всѣми славянскими землями и имѣются нѣсколько спеціальныхъ корреспондентовъ: **въ Софіи, Константинополѣ, Цетиньѣ, Рущукѣ, Бѣлградѣ, Львовѣ, Вѣнѣ и другихъ славянскихъ городахъ.**

Въ составленіи какъ „**передовыхъ**“, такъ и вообще статей въ газетѣ нашей принимаютъ постоянное участіе, кромѣ самаго редактора-издателя, многіе извѣстные публицисты, профессора, спеціалисты по разнымъ отраслямъ знанія, беллетристы, земскіе и городскіе дѣятели, юристы, филологи, педагоги, агрономы, техники и военные.

На ряду съ руководящими статьями по разнымъ текущимъ вопросамъ, на ряду съ серьезнымъ матеріаломъ, съ различнаго рода извѣстіями о текущихъ дѣлахъ какъ внутри Россіи, такъ и заграницей, съ различными новостями, составляющими вѣчно жгучій интересъ минуты и злобу дня, мы ежедневно удѣляемъ мѣсто въ нашей газетѣ и матеріалу беллетристическому, принаровленному для легкаго чтенія, давая этимъ читателю необходимое развлеченіе въ часы досуга плодами творчества и художественной фантазіи.

Чтобы слѣдить за жизнью Западной Европы и другихъ странъ свѣта, имѣются свои корреспонденты: **въ Нью-Іоркѣ, Парижѣ, Лондонѣ, Берлинѣ** и другихъ городахъ.

Для ознакомленія съ дѣятельностью нашихъ земствъ, городовъ, селъ и деревень и вообще съ жизнію русскаго народа, имѣются въ губернскихъ и уѣздныхъ городахъ, въ селахъ и деревняхъ тоже свои корреспонденты, въ количествѣ до 300.

Въ виду того, что государство наше прогрессируетъ и всѣ органы нашего государственнаго управленія усердно работаютъ, то для своевременнаго ознакомленія съ ихъ дѣятельностью, нами приглашенъ спеціальный корреспондентъ, имѣющій постоянное пребываніе въ С.-Петербургѣ. Его сообщенія ежедневно печатаются въ нашей газетѣ подъ рубрикой: „**О проектахъ и о ходѣ дѣлъ въ государственныхъ учрежденіяхъ**“.

### „РУССКІЙ КУРЬЕРЪ“ выходитъ ежедневно въ форматѣ большихъ газетъ по слѣдующей программѣ:

**I. ПОСТАНОВЛЕНІЯ и РАСПОРЯЖЕНІЯ ПРАВИТЕЛЬСТВА.—II. ОБЗОРЪ ПОЛИТИЧЕСКИХЪ СОБЫТІЙ и ОБЩЕСТВЕННОЙ ЖИЗНИ; ОБСУЖДЕНІЕ „ВОПРОСОВЪ ДНЯ“.—III. ХРОНИКА:** извѣстія—придворныя, военныя, литературныя, художественныя, театральныя, музыкальныя, торговыя и др. Біографія и некрологи.—**IV. ТЕЛЕГРАММЫ.—V. МОСКОВСКІЙ ДНЕВНИКЪ.—VI. МНѢНІЯ РУССКОЙ и ИНОСТРАННОЙ ПЕЧАТИ ПО ТЕКУЩИМЪ ВОПРОСАМЪ.—VII. ЖИЗНЬ РОССІИ:** народное образованіе, земство, городское и крестьянское самоуправленіе, промышленность и торговля; корреспонденціи изъ Россіи; извлеченія изъ журналовъ и газетъ.—**VIII. ИНОСТРАННЫЯ ИЗВѢСТІЯ:** корреспонденціи изъ-заграницы; извлеченія изъ иностранныхъ газетъ.—**IX. ЛИТЕРАТУРНЫЙ ОТДѢЛЪ:** романы, повѣсти, очерки, разсказы, сцены, стихотворенія.—**X. ФЕЛЬЕТОНЪ:** обзоръ явленій внутренней жизни; литературная лѣтопись; обзоръ журналовъ; историческій листокъ; научная хроника; хроника заграничной жизни; театръ и музыка.—**XI. КРИТИКО-БІОГРАФИЧЕСКІЙ ОТДѢЛЪ:** статьи по разнымъ отраслямъ наукъ, искусствъ и промышленности.—**XII. СУДЕБНАЯ ХРОНИКА:** судебные процессы.—**XIII. РАЗНЫЯ ИЗВѢСТІЯ:** случаи, анекдоты и проч.—**XIV. СПРАВОЧНЫЙ ОТДѢЛЪ:** свѣдѣнія—биржевыя, желѣзнодорожныя, театральныя и отвѣты редакціи.—**XV. ОБЪЯВЛЕНІЯ.**

**Въ „РУССКОМЪ КУРЬЕРѢ“ помѣщается ЕЖЕДНЕВНО, НЕ ИСКЛЮЧАЯ ДНЕЙ ПОСЛѢПРАЗДНИЧНЫХЪ И ТАБЕЛЬНЫХЪ: политическое обозрѣніе, разнообразные фельетоны и передовыя статьи по текущимъ вопросамъ и особенное вниманіе обращается на СЛАВЯНСКІЙ ВОПРОСЪ.**

Телеграммы помѣщаются „**Сѣвернаго Телеграфнаго Агентства**“ и отъ собственныхъ корреспондентовъ.

**Съ 1887 года размѣръ газеты значительно увеличился и прибавилось 650 строкъ. Всего помѣщается текста, кромѣ объявленіи, до 3,000 строкъ.**

**Въ матеріальномъ отношеніи** газета также поставлена въ благопріятныя условія. Всѣмъ извѣстная состоятельность редактора-издателя газеты представляетъ для подписчиковъ **прочную гарантію** въ цѣлости ихъ подписныхъ денегъ и въ своевременной и правильной высылкѣ газеты.

**Для печатанія газеты** устроена типографія, снабженная новѣйшей конструкціи машинами и аппаратами, въ томъ числѣ скоропечатной англійской машиной „**Викторія**“, печатающей и фальцующей 10,000 экземпляровъ газеты въ часъ, аппараты для стереотипа и два мотора: **газовый** и **паровой**. **Для разсылки газеты** въ провинцію имѣется экспедиторъ и для москвы—артель разнощиковъ. **Бумага по заказу нашему получается съ фабрики Кувшинова.**

**РЕДАКЦІЯ, КОНТОРА ИЗДАНІЯ и ТИПОГРАФІЯ помѣщается въ собственномъ домѣ Н. П. Ланина въ Москвѣ.**

### УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

| СЪ ДОСТАВКОЮ ВЪ МОСКВѢ: | | СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ ВО ВСѢ ГОРОДА: | | ЗАГРАНИЦУ: | |
|---|---|---|---|---|---|
| На годъ | 9 р. — к. | На годъ | 10 р. — к. | На годъ | 20 р. — к. |
| „ 6 мѣс. | 5 „ — „ | „ 6 мѣс. | 6 „ — „ | „ 6 мѣс. | 12 „ — „ |
| „ 3 „ | 2 „ 75 „ | „ 3 „ | 3 „ — „ | „ 3 „ | 6 „ — „ |
| „ 1 „ | 1 „ 10 „ | „ 1 „ | 1 „ 25 „ | „ 1 „ | 2 „ 50 „ |

1. **Подписка принимается** съ 1-го по 1-е каждаго мѣсяца и не далѣе конца года.
2. **Гг. иногородніе**, при возобновленіи подписки, благоволятъ прилагать свой печатный адресъ.
3. **За перемѣну** адреса городскаго и иногородняго—30 к. При перемѣнѣ городскаго на иногородній доплачивается разница въ цѣнѣ подписки.

### Тарифъ на объявленія:

За строку петита или за мѣсто, занимаемое ею:

На ПЕРВОЙ страницѣ **20 коп. за стр.** ● На ЧЕТВЕРТОЙ страницѣ **10 коп. за стр.**

Редакторъ-издатель **Н. П. Ланинъ.**


Доз. цен. Тиф. 27 ноября 1887 Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Гол. Проспектъ д. Шабурова. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.